მოკლა თუ არა ტროცკი და კიროვი სტალინმა? ვინ იყვნენ იატაკქვეშა ოპოზიციონერები?

„ჯორჯიან თაიმსის“ ექსკლუზიური ინტერვიუ აშშ-ის მონკლეარის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, გროვერ ფერისთან.

— რატომ დაინტერესდით საბჭოთა კავშირის ისტორიის კვლევით?

—მე, როგორც შუა საუკუნეების მკვლევარმა, კარგად ვიცი, იმისათვის, რომ იყო ობიექტური, უნდა შეაგროვო და კარგად შეისწავლო საბუთები ამა თუ იმ საქმეზე და შემდეგ დადო შენი დასკვნები. როცა სკოლა დავამთავრე, ვიეტნამის ომი მძვინვარებდა. თანდათანობით აღმოვაჩინე, რომ ის, რასაც კომუნისტური მოძრაობის შესახებ მასწავლიდნენ, არ იყო ობიექტური. ეს კარგად შენიღბული ანტიკომუნისტური პროპაგანდა იყო. „ცივი ომის“ პერიოდში, ყველა კვლევა კომუნიზმზე, საბჭოთა კავშირსა და სტალინზე ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. „ცივი ომი“ დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ყველა „მთავარი“ და „დაფასებული“ მკვლევარი შეფარულად წერდა ანტიკომუნისტური რეჟიმის შესახებ. ჩემს პირველ წიგნში „ანტისტალინსკაია პოდლოსტ“ შევძელი დამემტკიცებინა, რომ ე.წ „გამოცხადება“ სტალინისა და ლავრენტი ბერიას შესახებ შეცდომა იყო. ამის ყველა დამამტკიცებელი საბუთი ჩემს წიგნში წარმოვადგინე. დღესაც ვაგრძელებ ჩემს მოღვაწეობას, რათა აღმოვაჩინო სიმართლე და არა ის ფაქტები, რომლებიც ვითომდა „მისაღები“ ან „პოლიტიკურად სწორია“. ეს, აგრეთვე, საკმაოდ გასართობია, ჩემი აზრით.

— ბევრი საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის საქართველოშიც, საუბრობს იმაზე, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმების შესაბამისად, (23 აგვისტო,1929წ.) საბჭოთა კავშირი ისევე, როგორც გერმანია, პოლონეთში შეიჭრა და ამ ფაქტის გამო სსრკ-ს აგრესორად მიიჩნევენ. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— 1939 წელს არცერთი ქვეყანა სსრკ-ს აგრესორად არ მიიჩნევდა. ყველა მოკავშირე და ერთა ლიგა იღებდა სსრკ-ს განცხადებას ცნობად, რომ იგი იცავდა თავის საზღვრებს და ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს გერმანია-პოლონეთის ომში. პოლონეთი და პოლონელი ხალხი საკუთარი მთავრობისა და სამხედრო სარდლობის მიერ იქნა მიტოვებული. ამასვე ადასტურებს „ცივი ომის“ პერიოდში სსრკ-ის მიმართ ანტიპათიურად განწყობილი, მაგრამ ობიექტური მკვლევარი, ამერიკელი ექსპერტი საერთაშორისო იურისდიქციაში **ჯორჯ გინსბერგი** თავის ნაშრომში, რომ საბჭოთა კავშირი რჩებოდა თავის ქმედებებში საერთაშორისო იურისდიქციაში (ამერიკული ჟურნალი „საერთაშორისო კანონები“, 1958წ.).

> მათ კი, ვინც აცხადებს, რომ სსრკ-ს არ ჰქონდა იმის უფლება, რომ გაეგზავნა ჯარები პოლონეთში და, რომ საბჭოელებს უნდა მიეცათ საშუალება გერმანელებისთვის, რათა აღედგინათ თავიანთი ძველი საზღვრები 1939 წლის მდგომარეობით, მინდა შევახსენო, რომ არცერთი ქვეყანა ასე არ მოიქცეოდა და არც საერთაშორისო კანონი ითხოვდა ამას.

— რას იტყვით „ტუხაჩევსკის საქმის“ შესახებ? ყველა მკვლევარსა და პოლიტიკოსს სჯერა, რომ სტალინმა საქმე გააყალბა უდანაშაულო დამცველების წინააღმდეგ სასამართლოში.

— ჩვენს ხელთ არსებული ყველა დამამტკიცებელი სამხილი ამტკიცებს საპირისპიროს: ყველა განსასჯელი იყო დამნაშავე იმ დანაშაულში, რომელიც მათ აღიარეს. არა სამხილის უდიდესი ნაწილი, არამედ ყველა სამხილი მიუთითებს მათ დანაშაულზე. ტროცკისდროინდელმა მკვლევარებმა განსასჯელები გაამართლეს იმიტომ, რომ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე ობიექტური კვლევა.

რუსეთის ხელისუფლებამ დიდხანს ინახა მასალები „გრიფით საიდუმლოს“ სახით, თუმცა დროთა განმავლობაში ისინი მაინც გამომჟღავნდა. მე გამაჩნია უფრო მეტი მასალები იმის შესახებ, რომ ნიკოლაი ბუხარინი და და სხვა მაღალი რანგის სამხედრო ჩინოსნები უფრო მეტად დამნაშავენი იყვნენ. მომავალ წელს გამოვა ჩემი წიგნი, მოსკოველ კოლეგა ვლადიმერ ბობროვთან ერთად დაწერილი, სადაც დაწვრილებით და ფაქტებზე დაყრდნობით აღვწერ, რომ 1988 წლის თებერვლის ბუხარინის რეაბილიტაცია იყო გორბაჩოვის მთავრობის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული. 2010 წლის აპრილში გამოვაქვეყნე კვლევა „ლეონ ტროცკის გერმანელებთან და იაპონელებთან თანამშრომლობის სინამდვილე“, სადაც აღვნიშნავ, რომ ტროცკი მართლაც დამნაშავე იყო.

— რამდენად მართებულია ვერსია იმის შესახებ, რომ სტალინმა კიროვის მკვლელობა თავისი პოლიტიკური მტრების მოსაშორებლად გამოიყენა?

> — ხრუშჩოვს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ სტალინმა მოკლა კიროვი, თუმცა ეს ვერსია საკმაოდ უსუსური აღმოჩნდა. როდესაც თავად ხრუშჩოვის არაკეთილსინდისიერმა მკვლევარებმა ვერ მოახერხეს ამის დამტკიცება, მათ შექმნეს მითი „მარტოხელა იარაღიანი კაცის“ შესახებ, რომელიც სტალინმა ციინიკურად გამოიყენა. სინამდვილეში კი, კიროვი მოკლულ იქნა იატაკქვეშა ოპოზიციონერების მიერ, როგორც ეს შემდგომ სასამართლოზე აღიარეს.

—1937-38 წლებში ე.წ „დიდი ტერორის“ პერიოდში დაახლოებით 700 000 კაცი იქნა დასჯილი. ყველა მათგანი დამნაშავე იყო? რითია გამართლებული ამდენი ადამიანის დახოცვა?

— 2005 წელს მე გამოვეცი ორნაწილიანი ესსე „სტალინი და ბრძოლა დემოკრატიული რეფორმებისათვის“. ჩვენ საკმაოდ დიდი მასალები გაგვაჩნია ე.წ „ეუოვშჩინას“ შესახებ. ნიკოლაი ეუოვი ,ნკვდ“-ს მეთაური იყო 1936-1938 წ.წ-ში და მისი 10-კაციანი რაზმი თანამშრომლობდა გერმანელებთან, იაპონელებთან და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

> მათ ასიათასობით უდანაშაულო ადამიანს სასტიკი წამების შემდეგ არჩადენილი დანაშაული აღიარებინეს და შემდეგ დახვრიტეს. ეუოვს თავის რაზმთან ერთად სურდა, უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოეყენებინა და საზოგადოებაში წინააღმდეგობა გამოეწვია. ეუოვი ატყუებდა არამარტო სტალინს, არამედ პარტიის სხვა ლიდერებსაც.

— თქვენი ამდენი ნაშრომის შემდეგ, როგორ დაახასიათებდით სტალინს?

— სტალინი ლენინის ჭეშმარიტი მოსწავლე იყო. მისი ცხოვრების მიზანი იყო სოციალიზმისა და შემდგომ კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ხალხისთვის და ხალხის მიერ იქნებოდა მართული და იქნებოდა ექსპლუატაციისაგან თავისუფალი. მიაღწია მან ამას? სტალინი ლენინის ერთგული მიმდევარი იყო. იგი პრინციპული, ჭკვიანი და შრომისმოყვარე ადამიანი გახლდათ. თუმცა სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა ვერ მოახერხეს კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბება. ვფიქრობ, რომ საბოლოო შედეგი არ იქნებოდა განსხვავებული იმ შემთხვევაშიც კი, ლენინიც რომ ცოცხალი ყოფილიყო, ან სსრკ-ის სათავეში ტროცკი, ზინოვიევი ან სხვა რომ ყოფილიყო. სსრკ-ის წარუმატებლობა იმის ბრალი კი არ იყო, რომ ან სტალინი, ან ბოლშევიკები ან საბჭოთა ხალხი არ აკეთებდა საკმარისს, არამედ მათი შეცდომა მათივე ხედვაში იყო — შეექმნათ სოციალიზმი და შემდეგ აეშენებინათ კომუნიზმი.

თანამედროვე საზოგადოებისა და მომავალი თაობებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისწავლონ წინა თაობების შეცდომებზე და უფრო წინ წავიდნენ, იბრძოლონ სტალინისა და ბოლშევიკების მიზნების განხორციელებისთვის.

იაკობ ჯულაშვილი
ეკა გუჩუკური